

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
მპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 22

1883—1899

30 ნოემბერი


შ ი ნ ა ა რ ს ი: სალიბერატურო განყოფილება: რედაქციისაგან, დეკ. დ. ლამბაშიძისა.—პედაგოგიური შენიშვნები, ტ. ვ.—ლია წერილი ბ-ნ დოქტორს ნაზაროვს, ვ. ლამბაშიძისა.—წერილი რედაქციისადმი, მღ. ბერულავასი.
სწავლა და მიცნობა ქრისტიანობივ **სარწმუნოებასა** და **კეთილ-ჯნეობაჲსა**: ეკკლესიაში მოლაპარაკეთა და მოცინარეთ.—საეკკლესიო სანთელი.—უკვდავთა დაღადებანი.
საზიკრო და **სასარგებლო** ცნობათა განყოფ.: საეკკლესიო კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.—განცხადება.

რედაქციისაგან.



ასული თვის ოქტომბრიდან ჩვენი ქართული ჟურნალი „მწყემსი“ გადადგა მეჩვიდმეტე და რუსული გამოცემა მეოთხმეტე წელში. ჩვიდმეტე წელიწადს ჟურნალის არსებობა, მერე ისიც ჩვენში, ჩვენის აზრით, კარგი დამამტკიცებელი საბუთია ჟურნალის სიცოცხლისა და მისი

ჯეროვანი არსებობისა. სწორედ გასაოცარი ამბავია, რომ ჟურნალმა იარსებოს ჩვენში 17 წლამდე, მერე იმ პირობებით და იმ გარემოებათა შეზღუდვილმა, როგორც თავისმა ბედმა არგუნა განსაკუთრებით „მწყემსს“. მაღლობა უფალოსა, რომელმანცა მოგვცა ჯანმრთელობა და შეძლება დაგვეძლია ყველა დაბრკოლებათათვის... გადავდექით რა მეჩვიდმეტე წელიწადში, ვაცხადებთ, რომ ღვთის შეწვევითა და ჩვენი, თითქმის მუდმივი ხელისმომწერთა თანაგრძნობით, მომავალ წელიწადში ჩვენი ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით და იმავე მიმართულებით, როგორც დღემდე გამოდიოდა.





ვინც ამდენი ხნის განმავლობაში თვალ-ყურს აღევნებდა ჩვენს ჭამოცემას, დარწმუნებული ვართ, ის ადვილად შენიშნავდა, რომ ჩვენს გამოცემას სრულებით სახეში არა აქვს რაიმე ნივთიერი შემოსავალი. წინააღმდეგ ხშირად ამ გამოცემას დახმარებია რედაქტორისაგან თავისი მწარე ოფლით მოპოებული და შენაძენიცა...

რედაქციას ყოველთვის სახეში ჰქონდა და აქვს დაეხმაროს ჩვენს საცოდავ საზოგადოებას და ყველა ქრისტიანეთა სალიტერატურო, სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლა-მეცნიერების გავრცელების საქმეში. სახეში აქვს ნიადაგ შეატყობინოს ყველას თავისი წარსული, დღევანდელი და მოსალოდნელი მისი მდგომარეობა. მართალია, სამწუხაროდ, არიან ჩვენ საზოგადოებაში, როგორც ჩვენ მოძმეთა შორის ისე საზოგადოდ ერის კაცთა შორის, რომელნიც ვერ ხედვენ, ან უკეთ ვსთქვათ, არ სურთ დაინახონ ჩვენი „გამოცემის“ სამსახური და ნამდვილი მისი სარგებლობა, მაგრამ ეს ჩვენთვის გასაკვირველი არ არის. არ არის გასაკვირველი მიტომ, რომ ზოგიერთებს თვით სახარების სწავლა-მეცნიერება და მიმართულებაც არ მოსწონთ და „მწყემსი“-სას როგორ მოიწონებენ?!.. ამასთან ბევრს „მწყემსთან“ კავშირის დაკავებას უშლის შური, მტრობა, ამპარტავნება, უვიცობა და ჩვეულებრივი ჩვენი ხალხის დაუდევრობა საზოგადო საქმეში ერთობითი მონაწილეობის მიღებისა...

ძლიერ სამწუხარო სურათს წარმოვიდგენს დღევანდელი ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა. დიდ ცვლილებას ხედავ კაცი ამ 30-40 წლის განმავლობაში, როცა კარგად დააკვირდები ჩვენი საზოგადოების ცხოვრების მიმდინარეობას. ასე აწეწილ-დაწეწილი და არეული არასოდეს არ ყოფილა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც დღეს არის. ის უთანხმოება, ის შური და მტრობა ერთიერთმანეთისა, რაც დღეს ნასწავლთა შორის არსებობს, არასოდეს არ ყოფილა. უსწავლელ საზოგადოებას აღარა სწამს-რა ნასწავლთა, ამისთვის რომ,

იგინი ერთიერთმანეთს არა ზოგვენ სიტყვით. გუშინ წინ გამოსული მჯღაბნელი «სალიტერატურო» ასპარეზზე, გროშათ აღარ ავდებს ძველ მწერლებს, რომელთაც საზოგადოება კიდევ კარგად იცნობს. არასოდეს არ ყოფილა ამისთანა აზრების არე-დარევა. ყველას თავისებურად ესმის ზნეობა და გატაცებით ქადაგებს იმ მიმართულებას, რომელიც ხელს უწყობს მის კერძო სარგებლობას. არ ერიდება არავითარ სათაკილო მოქმედებას და საქციელს, ოღონდ თავისი „მე“ დააკმაყოფილოს და გააბატონოს.

ამისთანა დროს, რასაკვირველია, სამღვდელთა მხარე მალა უნდა დაიკავოს თავისი დროშა და აღამაღლოს თავისი სიტყვა; აი ამას ცდილობდა და ამას ცდილობს ყოველთვის „მწყემსი“, რომ დაეხმაროს თავიანთ მოძმეთა თავის მოვალეობის ჯეროვანად აღსრულების საქმეში. იგი აძლევს მკითხველთა დამზადებულ მასალას საბრძოლველად უზნეობის, გაუნათლებლობის და ათასნაირ ამო-მორწმუნეობის და ჩვენი ხალხის დამღუპველ ჩვეულებათა წინააღმდეგ. მას შეუძლია ამ მასალით ისარგებლოს და თავიანთ სამწყსოთა შორის გაავრცელოს და განახორციელოს ეს სწავლა-მეცნიერება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის ამსრულებელთ რიცხვთ ძლიერ ცოტას ვხედავთ ჩვენს საზოგადოებაში. მცირე რიცხვი ჩვენ თანამოძმეთა, მართალია, სარგებლობს ამ დამზადებული მასალით, მაგრამ უმეტესობაზე ეს არ ითქმის. ავიღოთ სულ უბრალო მაგალითი. ყველამ იცის, თუ რა შეშფოთებული ეკითხებოდნენ ერთი მგორეს ამ ნოემბერში ვითომ დაქვეყნის დაქვეყნის შესახებ. ხშირად უკითხავს ზოგიერთებს მღვდლებისათვისაც და აი რა პასუხი მიუციათ: «რა ვიცით, ასეა ხმა გავრცელებული და ვინ იცის, იქნება კიდევ ასრულდეს“-ო... ნუ თუ ამაზე უკეთესი პასუხის მიცემა არ შეუძლიათ მათ? თუ ვისმე თვითონ არ შეუძლია ამ კითხვის განმარტება, ჩაიხედოს ჩვენს ჟურნალში, წაიკითხოს თვითონ და შემდეგ თავის მრევლსაც წაუკითხოს. ესეც დიდი სასარგებლო საქმე იქნება. მაგრამ ჯერეთ, სამწუხარო...



როდ, ეს ბევრს ვერ შეუგნია. წარმოიდგინეთ. ზოგიერთი მღვდლები ერის კაცების კითხვაზე: შეგვიძლია თუ არა „მწყემსი“-ს გამოწერაო, ეუბნებიან თურმე: „რას ამბობ, კაცო, ერის კაცს რა უფლება აქვს „მწყემსი“-ს გამოწერისა და კითხვისა. ეს ყურნალი მხოლოდ სამღვდლოთათვის არის და არა ერის კაცთათვისა. რასაკვირველია, ამისთანა ახირებული აზრის ჩვენ მოძმეთა შორის მცირენი არიან, მაგრამ ჩვენ მცირე საზოგადოებაში ამისთანა პირები ხუთი და ათიც ძლიერ სამწყუხარო მოვლენაა.

გულითად მადლობას შევსწირავთ-რა მუდმივ ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერთა, მორჩილად ვთხოვთ და ვევედრებით მათ, დაგვეხმარონ და გააგრძელონ საზოგადოებაში განსაკუთრებით ის, რაც იწერება „მწყემსი“-ს ზნეობრივ და სარწმუნოებრივ სწავლამეცნიერების განყოფილებაში.

ჩვენ ფრიად დაჯილდოებულად ჩავთვლით ჩვენს თავს, თუ ეს სწავლა-მეცნიერება „მწყემსი“-ს საშუალებით გაგრძელდება ხალხში. დარწმუნებული ვართ, თუ ყველას გულში არა, ზოგიერთებისაში მაინც მოიპოვებს ეს თესლი პოხიერ ადვილს და ნაყოფს გამოიღებს... ამით ერთსა და იმავე დროს თავის მოვალეობასაც აღასრულებს მოძღვარი და სხვასაც ასწავლის, რომელიც ერთ უმთავრეს მღვდლის მოვალეობას შეადგენს. ასე, ჩვენო ძვირფასო მკითხველო, ხელის მოწერა მომავალი წლისათვის ჟურნალს „მწყემსზედ“ გახსნილია და იმედია ჩვეულებრივ თქვენს თანაგრძნობას არ მოგვაკლებთ ამ მომავალ წელშიაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამი მანეთი ჟურნალზე ხელმოსაწერი ფული თქვენთვის ისეთ სამძიმო ხარჯს არ შეადგენს, რომ ამ მცირე ფულის მოკლებამ შეგაწუხოსთ ნივთიერად, ჩვენ კი ამ საზოგადო საქმეში დიდად დაგვეხმარება...

რედაქტორი დკე. დ. დამბაშიძე.



პედაგოგიური უანიჭხეაგი.

გაგრძელება *)

ყოველივე, რასაც მისწვდება კაცის გონება და გრძნობა, ბავშმა ადრე თუ გვიან შეძლებისა და გვარად უნდა გაიცნოს, თუ უნდა, რომ მან ჯეროვანი ადგილი დაიკაოს ცხოვრების ასპარეზზედ. ამ მიზნის მისახწვევ საშუალებად ითვლება დღეს სკოლა, რომელიც იმას, რაც კაცობრიობას დიდი ხნის გონების მოძრაობის და ისტორიული პროცესის შემწეობით გამოუგონია ან შეუძენია, ცოტად თუ ბევრად უშლის ბავშს თვალის-წინ. სკოლაში მასწავლებელი მზად აძლევს მასალას ბავშს და ათვისებინებს მის გონებას; ასე რომ დღეს სკოლა უმთავრესად ავალებს მასწავლებელს, რომ მან გაათავთოოს ბავშვის გონება სხვა და-სხვა ცოდნით.

ზევით მოყვანილი შეხედულება ბავშვის სულიერ ბუნებაზე თუ სინამდვილეთ ჩავსთვალეთ, მაშინ მასწავლებლის უპირველესი მოვალეობა იქნება, რომ მან გამოიწვიოს ბავშის ნიჭი სამოქმედოდ, ავარჯიშოს ბავში სკოლის ასპარეზზე და განუღითაროს მას თვითმოქმედება.

რა უნდა ვიგულისხმოთ თვით მოქმედებათ? თვით მოქმედება ბევრ-ნაირად ესმისთ. ცნობილი ფილოსოფოსი შოპენგაუერი სულ სხვანაირად ხსნიდა თვით-მოქმედებას. ის, როგორც პესისიმისტი, უუმაყოფილო იყო ქვეყნიური ცხოვრების და აგრეთვე თანამედროვე სკოლებისაც; ის ამტკიცებდა, რომ ბავშმა თითონ უნდა გაიცნოს ნამდვილი ცხოვრებაო, არც სკოლამ, არც აღმზრდელმა გონების საზრდო მზად არ უნდა მიაწოდოსო; 15 წლამდის მაინც ბავშვებისთვის სკოლას მანებლად სთვლიდა. ასეთი შეხედულება აღზრდაზე რომ უბრალო კაცმა გამოსთქვას, ყურადღებასაც არავინ მიაქცევს და გაკიცხვით დაასაჩუქრებენ, მაგრამ როცა ამას ამბობს და ფილოსოფიურად ასაბუთებს ის კაცი, რომელიც საზოგადოების ერთს ნაწილს კერპად მიაჩნია, მაშინ რიგია ჩაუკვირდეთ... ცხადია, რომ ასეთი შეხედულება მეტად ცალ-მხრივია. სხვა რომ არაფერი ვსთქვათ, მარტო ის ვიქონიოთ სახეში, ბავშმა რომ ყოლიფერის შესწავლა თითონ დაიწყოს, როდის

*) იხ. „მწყემსი“, № 21 1899 წ.

მოასწრებს რასმეს და გინა ამ სახით საზოგადო პროგრესის წარმოსადგენია!

ჩვენ არ ვეთანხმებით ასეთს აზრს და ფიქრობთ, რომ სკოლაშიაც შეიძლება თვითმოქმედების განვითარება იმდენად, რამდენათაც ეს აუცილებელია გონიერი და შეგნებული ცხოვრებისათვის. ბავშვების თვითმოქმედების განვითარება ჩვენ დავასახელებთ მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობად, რადგანაც თვითმოქმედება, მართლაც, აუცილებელია ყოველი გონიერი ქმნილებისთვის. თვითმოქმედება თუ არა აქვს განვითარებული მცოდნე კაცს, იგი არ ვარგა; მისი გონება შეფარგლულია, მისი სულიერი თვალი შორს ვერ იხედება და რასაც ხედავს, იქაც მისი შეგნებითი ელემენტი სუსტია. ასეთი კაცი ცხოვრებას ვერ ითვისებს და ყოველთვის მისგან მარცხდება. თუ მასწავლებელს მიზნად ბავშვების თვითმოქმედების განვითარება აქვს დასახული, იმ შემთხვევაში ის არ უნდა ცდილობდეს მოსწავლეს, რაც შეიძლება, ბევრი (რიცხვით) ცოდნა მიადღებოს. მასწავლებელი არც უნდა აძლევდეს მზა მასალას, რადგანაც მზა მასალას ბავში ითვისებს გარეგნულად (მეხანიკურად) და მისი საკუთარი გონებრივი ძალა ცოტა მონაწილეობას იღებს. მზად მიცემული მასალა გონებას არ ავარჯიშებს, მხოლოდ აშრომებს ცალ-მხრივად და სტვირთავს მეხსიერებას სხვა-და-სხვა ცოდნით, ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ასეთი გზით მიღებული ცოდნა, მეხსიერების სივიწროვის უტყუარი კანონის ძალით, დრო-გამოშვებ იბნევა, მკირდება და შრომის ნაყოფი ცოტა რჩება ბავშს. ამ გვარად მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობად ის არ უნდა ჩაითვალოს, რომ მოსწავლეს ბევრი ახალი ცოდნა მისცეს და მისი გონება ამით გააფართოოს. როგორც ზემოთ ვსთქვით, მასწავლებლის მოვალეობაა მოსწავლის ბუნებრივი ნიჭის სამოქმედოდ გამოწვევა და მისი ვარჯიშობა, ამისთვის მასწავლებლის ყურადღება უმთავრესად უნდა იყოს მიმართული იმაზედ, რომ მოსწავლეს "შეუმუშაოს პრინციპი ანუ უჩვენოს, რა სახით უნდა შეითვისოს მან ცოდნა და როგორ განვიითაროს გონება. თუ მასწავლებელი აჩვენებს ბავშს უცნობი საგნის შესწავლას, მას შემდეგ ყოველი მასალის შექენა თითონ შეუძლია. ავიღოთ მაგალითი. მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს საგანს (ნივთს) და უხსნის: ეტყვის ნაწილების სახელს, აგრეთვე მათ

დანიშნულებასაც უჩვენებს, რამოდენჯერმე გაამეორებინებს და ბოლოს ზეპირად დაასწავლის. ამ პროცესში იღებს მონაწილეობას ბავშის ყურადღება და მეხსიერება, დაკვირვებითი ნიჭი და საკუთარი აზროვნება კი არა. ამის გამო ამ სახით მიღებული ცოდნა დიდხანს არა რჩება ბავშს გონებაში, გარდა ამისა ყოველი ახალი ნივთის ასაწერად და გასაგებად სჭირდება აქტიური მომხმარე, რადგან ვარჯიშობით თვითონ არა აქვს გონება გაჩვეული, რომ მასალა დაიმორჩილოს ანუ შეისწავლოს. ამიტომაც მეტად საჭიროა, რომ ბავშმა იცოდეს როგორ უნდა შეისწავლოს მან ესა თუ ის საგანი; ამისთვის ზემოთ მოყვანილი მაგალითი ასე უნდა შესრულდეს. მასწავლებელმა უნდა აჩვენოს ბავშვებს ნივთი და თვითონ მათ ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ააწერინოს. მოსალოდნელია, რომ ბავშვები ვერც ნაწილებს დასახელებენ კარგათ, ვერც მათ დანიშნულებას, მაგრამ აქ უნდა ეხმარებოდეს მასწავლებელი არა აქტიურად, ე. ი. ისე, რომ ის მხოლოდ უნდა ავსებდეს და ასწორებდეს ბავშვების აზრს. ვითომც ყველანი ერთად სწავლობენ საგანს. ამ სახით საგნის შესწავლა დიდს დროს თხოვილობს. სანამდის ბავშს თვითონ გაეაგებინებდეთ საკუთარი გონებით, რომ $5 \times 5 = 25$ და $7 \times 7 = 49$, იმ დროდის ნახევარ ტაბლიცას ზეპირად დავასწავლით და ბავშის ნორჩი მეხსიერება კიდევ შეგვიანხავს მას რამოდენიმე ხანს; მაგრამ სარგებლობა უფრო ის იქნება, რომ ორი მაგალითი გამრავლებისა თვითონ გამოვარკვევიოთ ბავშს, მინემ ათი ჩვენი აქტიური დახმარებით. ამ მაგალითებით ჩვენ არ გვინდა მართო ის ვსთქვათ, რომ ბავშმა თითონ გაიგოს ხუთჯერ ხუთი ოცდა ხუთი არისთქო; არა მან კიდევ უნდა შეიგნოს, როგორი სახით ანუ საშუალებით შეიძლება ამის გაგება; აი ამ საშუალების ჩვენება და რიგიანად შეგნება არის ერთი მხრით პრინციპის შემუშავება. ამ გვარად მასწავლებლის უმთავრესი მოვალეობაა შეაჩვიოს მოსწავლე თვითმოქმედებას; მას თვითონ მიადღებოს აქტიური მონაწილეობა იმ მასალის გაგებაში და დამორჩილებაში, რომელიც მზად ეძლევა სახელ-მძღვანელოებით. ამ სახით მიღებული ცოდნა რიცხვით შედარებით ძლიერ ცოტა იქნება, მაგრამ თვისებით მეტად სასარგებლო ბავშის მომავალ განვითარებაში.



II

ს ა შ უ ა ლ ე ბ ა .

ლია წარიღი ბ-ნ დოქტორს ნაზაროვს.

მასწავლებელმა რომ თვითმოქმედება განუვითაროს ბავშს და შეაჩვიოს ის საკუთარი აზრით მუშაობას, ამისათვის საჭიროა ბავშვის მხრით ყურადღება და ინტერესი.

ჩვენ სკოლებში დღეს თითქმის სამხედრო დისციპლინა სუფევს; ბრძანებს მასწავლებელი, მაშასადამე მოსწავლემ უნდა ყური უგდოს მის ლაპარაკს და თვალებიც მას მიმართოს, ზოგან კიდევ ძველ დესპოტიზმს უჭირავს ადგილი, თუმცა უფრო ვიწრო. სამწუხაროდ, სწორედ ეს დესპოტიზმი და აქედგან შიში სპობს იმ პირობებს, რომელნიც აუცილებელია მისთვის, რომ ბავშვის ყურადღება მასწავლებელზე იყოს მიქცეული და ბავშს ინტერესი აეძრას ხოლმე. ასეთ აუცილებელ პირობებთან მიგვაჩნია მასწავლებლის კავშირი მოსწავლეებთან; მათი ერთმანეთზე დამოკიდებულება და ურთიერთ-შორის თვისება განწყობილება.

მოსწავლე უნდა უყურებდეს მასწავლებელს როგორც თანამშრომელს, თანამკრძნობს და ამხანაგს სწავლის საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ როცა მასწავლებელი მოსწავლეს მიაჩნია უმფროსად, რომლის ბრძანებაც მისთვის კანონია, მაშინ მოსწავლის თავისუფლება შევიწროვებულია და სწავლება ძალ-დატანების ხასიათს იღებს, ძალადობა კი ყოლიფერს საქმეში მავნებელია და სკოლიდგან მაინც უეჭველად განდევნილი უნდა იყოს. თვითმოქმედება უფარჯიშდება ბავშს, როცა ის ფიქრობს, რომ მან და მასწავლებელმა ერთად უნდა გაიგონ და ზიარი შრომით გაიცნონ რამე. პირ-იქით თუ მოსწავლე იმას ფიქრობს, რომ მასწავლებელი, როგორც მცოდნე და უმფროსი, მას მზა მასალას მიაწვდის, მაშინ მისი გაგებითი ნიჭი (разумость) შეფარგლულია და მარტო მისი მეხსიერება იღებს მონაწილეობას შრომაში. ამისათვის მასწავლებლის და მოსწავლეებს შორის უნდა იყოს მჭიდრო კავშირი, სიყვარულზე, ნდობაზე და ამხანაგობაზე დამყარებული. ამ დროს მოსწავლეს ეძვრის შიშის და მორჩილების გრძობის მაგიერ გრძობა განწყობილებისა და თავისუფლებისა. ასეთი გრძობები-კი აუცილებელია მოსწავლის მხრივ, რომ მან საკუთარი ნიჭი ავარჯიშოს და ცოდნა მაგრად აღიბეჭდოს გონებაში.

დიდი ხანია მას აქედ, წელიწადზე მეტია, რაც ჩემთან მოვიდა ერთი ავადმყოფი, რკინის გზის მუშათაგანი, რომელიც ნამეტანის ღრიალითა და ყვირილით ითხოვდა დილა-ადრინად, ყველაზედ უწინარეს გასინჯვას. ავადმყოფმა შემომჩივლა: „ბატონო, ეს ექვსი დღეა ვწვალობ, ასე დასაკლავ ხარცივით მბლავლებს, გამოვეთხოვე წუთი-სოფელს. შენი ქირიმე, მიშველე როგორმე. სამუშაოდ მიწვევენ, — თვიური მუშა ვარ, და მე-კი აგერ ჩემი დამემართება. ნეტავი, ცოცხალი გადავრჩებოდე და ადგილის დაკარგვას-კი ვინდა ჩივის და სხვ...“ ყურის ტკივილს უჩიოდა და მართლაც, შესაბამი გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყურში რალაც ჰქონოდა, რაიც გამოღების შემდეგ წარმოადგენდა მწერის დახრწნილ ნაწილებს.

— ადგილს რად დაჰკარგავ, განა ავადმყოფობის მიზეზით არ შეგიწყნარებენ უმუშევრობას-მეთქი? ვუთხარი მე. ამაზედ მან მიპასუხა: „ჩვენს ფერშალთან ვიყავი, მაგრამ გამომაგდო, ავადმყოფად არ მიცნო და ბილიუტენშიაც ასე ჩამიწერა. გზის ოსტატი-კი მუშაობას მაიძულებს და სად შემიძლია? რომ შემეძლოს, ვინ ოხერი არ იმუშავებდა?! ეხლა თუ მეშველა რამე, ეგებო მოწმობა მომცეთ, რომ წარვადგინო და ეს გამცდარი დღეები ჩამითვალონ როგორმეო. — „ორ დღეს დაგჭირდება ჩემთან სიარული დღეში ორჯელ, მტკივანი ყურის გამოხარცხად და მერე მოწმობასაც მოგცემ-მეთქი. დავამშვიდე მე.“

გაიარა ორმა დღემ. თუმცა მოწმობების მიცემას საოცრად ვერიდები (განგებ ამიტომ სახელგვარის ბეჭედიც არ შემიძენია), მაგრამ ამნაირ შემთხვევის დროს, რა ზნეობრივი უფლება მქონდა, უარით გამესტუმრებია იგი და არ მიმეცა მისთვის ღონისძიება, თავი ემართლებია სადაც ჯერ-იყო, და ამით საწყალ კაცს ოფლითა და შრომით მონაგარი დღეში ათ-შაურიანი შემოსავლის ადგილი შერჩენოდა?!.. მეც ავიღე და მივეცი შემდეგი შინაარსის მოწმობა: „ამა და ამ მუშას ჩემთან მოსვლის დროს ესა და ეს ვუნახე ყურში. გამოღების შემდეგ აღმოჩნდა რალაც მწერის დახრწნილი ნაწილები, რომელიც ზოოლოგიურად ძნე-

ტ. ჯაფარიძე.



ლად განისაზღვრების. ამის ყურში ყოფას სწორედ შეეძლო ისეთი ტკივილები აეტეხა ამ ადამიანისათვის, რომ მუშაობაზე ხელი აედებინებია. მწერის ნაწილები-კი დამამტკიცებელ საბუთად ჩემთან ინახება“.

ამაში არც არავისი შეურაცხ-ყოფა უნდა ყოფილიყო და არც რაიმე კრიმანქული განზრახვა... ჩვენის განსჯით, ამით არავისი თავ-მოყვარეობის შემადგინებელი საქციელი არ ჩავვიდენია. საფუძველი სამართლიანი იყო და მიზანიც კაცთმოყვარული: ესე იგი საწყალ მუშას უმიზეზოდ გაცდენილ ღღეებად არ უნდა ჩასთვლოდა ეს ტანჯვაში გატარებული ღღეები, და არც თავისი ადგილი უნდა დაჰკარგოდა ამ ავადმყოფობის გამო.

შემდეგ ამ საქმის მე არა ვიცოდი-რა. ოღონდ ერთჯელ შემთხვევით შეხვედრის დროს მითხრა მოწმობის წამლებმა: „სამმართველოში ვიჩივლე, რომ გაცდენილი ღღეები ჩამთვლოდა. ეხლა პირაქედ უფროსი შემუქრება, თუ არ წავიღია შენი საჩივარი, ეხლავე დაგითხოვთო“. თანაც რწევა მკითხა. მეც, რამდენადაც მახსოვს, ასე ვუთხარი: ხომ იცი, დაბალი ღობე ყველასაგან დაბრკებულნი და ადვილი გადასათელავია! რასაკვირველია, ბოლოს ისევ შენვე გამოგიყვანენ მტყუანად. იცოდე-კი, უკანაც რომ დაიბრუნო შენი თხოვნა და საჩივარი, მაინც დაგითხოვენ ადგილიდან. ბარემ შენ არ გაიმტყუნო თავისი თავი შენივე სიტყვების უკან დაბრუნებით, უმჯობესი არ არის? ათ-შაურთან ადგილს ყოველთვის და ყოველგან იშოვი, თუ ეცდები-მეთქი. ეს იყო და ეს!—მე იმ კაცის მნახველი აღარ ვყოფილვარ მას შემდეგ, ოღონდ სხვებისაგან-კი ვავიგე, რომ ის მუშა დაითხოვეს სამსახურიდან.

მას შემდეგ განვლო კარგა დიდმა ხანმა, იმაზედ უფრო მეტმა, რამდენიც-კი საქირო არის, არა თუ ასეთი წვრილმანების, არამედ დიდ-მნიშვნელოვან რამეების დასავიწყებლადაც-კი. მეც მივიწყებული მქონდა სავსებით ეს ამბავი, რომ აქაიქ ლაპარაკის დროს სიტყვა გამიკრეს ხოლმე ზოგიერთებმა ამ შემთხვევაზე. მეტისმეტად მიკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო ამ ამბის გამხიანებელი, მაგრამ ყურადღებას მაინც არ ვაქცევდი. ზოგიერთები იმასაც დასძენდნენ ხოლმე ამ ამბავს, რომ დოქტორი ნაზაროვი ცოტა გულ-ნაწყენად არის

თქვენზედ ამ საქმის შესახებო. მე ეს არ მესმოდა და ვერც წარმომედგინა, თუ რა უკმაყოფილება უნდა გამოეწვია რკინის გზის მუშის წამლობას. თანაც ვფიქრობდი, თუ რაიმე სათქმელი და გამოსარკვევი ჰქონდა ამ საქმის შესახებ, ორიოდეჯელ შევხვდი „კონსილიუმ“-ზე და უთუოდ ან რამეს მეტყოდა კერძო ბაასში, და ან შევატყობდი შეხვედრაზე ნაწყენობას-მეთქი...

ბოლოს, თუმცა წელიწადზემეტმა დრომ გაიარა, მაგრამ ეს ამბავი მივიწყების მაგივრად უფრო და უფრო გამოხიანდა და უფრო და უფრო ხშირად მეუბნებოდნენ სხვა-და-სხვანაირ მითქმა-მოთქმას ამ ამბის შესახებ. თურმე ამ ხმას ჩემამდე დაგვიანებია მოსვლა, თორემ სხვაგან ძალიან შორსაც და ძალიან მსწრაფლადაც გასულა... მე ეხლაც არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ მრავალ სულ სხვა-და-სხვა კუთხეებში მყოფ პირთაგან არ გამეგონოს სულ ერთნაირად კავრცულეული ხმა, ვითომც მე განზრახ მიმეცეს იმ მუშისათვის მოწმობა ასაჩივლებლად, რომ მერე თქვენ ადგილზე, ე.ი. რკინის გზის ექიმობაზე, დაგჯიბრებოდით(!!!?) ასეთ უცნაურ ხმას არ ავწყებობდი,—რადგანაც უქმი ოცნების ნაყოფად მიმაჩნია ხოლმე ყოველთვის საარწმუნო საფუძველზე დაუმყარებელი ხმა, და არც ეხლა მივაქცევდი ყურადღებას, რომ სხვების მითქმა-მოთქმა საზღვარს არ გადაჰშორებოდა. ბევრისაგან მოვისმინე თვით მევე და ბევრსაც, შემთხვევით რომ ჩამოვუგდე სიტყვა, მაშინ მოაგონდათ სხვებისაგან განაგონი ზემოხსენებული დაწამება. და ის, რაც კარგა ხანს იღუმალად გულში მქონდა ჩარწინილი და არც არავისათვის არ გამიზიარებია, თითო-ოროლა დაახლოებულ პირს გარდა—იძულებული ვარ ეხლა ბეჭდურის სიტყვით გამოვაქცევნო და ამით მკითხველ საზოგადოებას რამდენიმე დრო წავართვა და ეგების თავიც შევაწყინო.

შეუძლებელია, გამოვეკიდო და კვალ-და-კვალ ვსდიო ამ გავრცელებულ მითქმა-მოთქმას, რომ ყველას ავუხსნა ნამდვილი საქმის ვითარება. არა და ყველამ ძალიან კარგად იცის, თუ როგორ ადვილად იდგავს ფეხს ჩვენში თუნდა უბრალო საოცნებო ხმაც. ამისათვის ერთად-ერთი გზა-ლა დამრჩენია ბეჭდურ სიტყვის დახმარებას მივმართო, რომ



ამით იქნეს გამოკვეული ის, რაც ფარულად ვრცელდება...

ძალიან ვერიდები პიროვნებაზე ბაასს და სრულებით არა ვარ გაზვიადებული თავ-მოყვარეობის, რომ მარტო ეს პირადი გრძნობა მალაპარაკებდეს. მე მხოლოდ მაწუხებს ის მეცნიერული, პროფესიონალური თავ-მოყვარეობა, რომელიც ყველასათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს და მით უფრო ექიმისათვის, ესე იგი იმ სარბიელზე, სადაც ბევრი რამ არის დამყარებული მხოლოდ ნდობაზე და ზნეობრივს პირადობაზე.

იქ, სადაც საზოგადოება შეგნებულა, რასაკვირველია სხვა-და-სხვანაირი მითქმა-მოთქმა ყურადღების მისაპყრობი არც-კი არის, რადგანაც თვითონ მსმენელი მიხვდება ხოლმე, რა არის საფუძლიანი და რა არის ცრუ; მაგრამ ჩვენში-კი, სადაც უმრავლესობა დაკნინებული შთაბეჭდილებით ცხოვრობს და წვრილმანობაზე ახურდავებს ყურადღებას და აჩქარებულადაც მყარდება მსწრაფლ-მოვლენილ რაიმე ხმაზე—მეტად სამწუხარო არის ამ-გვარი, უგვანო მითქმა-მოთქმა!..

როგორც გავიგე დანამდვილებით, სარწმუნო წყაროებიდან, სამმართველოდან შემოკითხვაზე პასუხად ჯერ თქვენ ის მიგიციათ, რომ ექიმი ღ—ძე არც-კი არის არავინო. ეს, ვსთქვათ, არაფერი. შესაძლებელია, ასეთ პატარა კუნჭულს, როგორიც ყვირილა არის, რამოდენიმე წელიწადსაც ვერ გააგებინოს ექიმმა თვისი არსებობა სხვებს და შეუმჩნეველადც დარჩეს—ამაში ან-კი ვინ გაიმტყუნება? —ისევ ჩვენ უნდა შევსჩივლოთ ბედს, ასეთი გამომწყვრეული არსებობისათვის. სოფლად მყოფი ექიმების არსებობა ხომ ისე არ რიხიანობს, როგორც ქალაქის ზოგიერთ ექიმების... ხოლო, რადგანაც თქვენ პასუხის შემდეგ, შემოჰკითხვიან ქუთაისის საექიმო სამმართველოს, რომელსაც უცნობებია, რომ ექიმი ღ—ძე არსებობსო, და ისევ ხელმეორედ უკითხავსო თქვენთვის ამ საქმის შესახებ, თქვენ მიგიწერიათ: „მე ის ავადმყოფი ვნახე, მაგრამ ყურში მას არაფერი არა ჰქონია რაო; უთუოდ თვითონ მუშას ჩაუსვავს ყურში მწკრილო“.(1) ვსთქვათ, ამ ნაწერით ასე იყო ახსნილი ეს გარემოება და მთელი ბრალი მუშას ედება (თუმცა უცნაური წარმოსადგენია, რომ ქართველმა მუშამ განვებ ყურში მწერი ჩაისვას, ისიც რისთვის?

მხოლოდ მისთვის, რომ ექვს დღეს არ იმუშაოს და ამ ექვსი დღის სამუშაო ქირა აიღოს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ექვსი დღის განმავლობაში დღე და ღამ იღრიალოს და თვალზე ცრემლი წამოიდინოს,—რასაც ათი და ოცი, იმ მუშასთან მყოფი პირები დაამოწმებენ) მაგრამ ეს სხვები რატომ არ ზნიან ასე და არ იმეორებენ ამ გვარ ახსნას? არამედ ყველანი თითქოს ერთ წყაროდან ნასესხებ ცნობებს იმეორებენ და სულ სხვანაირად ხსნიან—რას უნდა მიაწეროს კაცმა ეს, ან ვის უნდა დაეწამოს ამ ხმების ავტორობა?...—აი ამაზედ ვითხოვ მორჩილად პასუხს, რადგანაც ამ საქმის გამორკვევა ერთნაირად საჭიროა ჩემთვისაც და თქვენთვისაც, და იმ მუშას ხომ აღარა ვსთვლი, რადგანაც მისი საქმე მალე გადაწყდა, და ექვსი დღის ჯამაგირის თხოვნა ადგილიდან მსწრაფლ დათხოვნად შეუტყვალეს!...

დასასრულ, იმედი მაქვს, რომ ამ სურვილს ჩემსას სხვანაირი რამ განზრახვა არ დაეწამება, თუ არ ქეშმარიტების გამორკვევის წადილი, და ეს ჩემი რამოდენიმე ხნით მკითხველი საზოგადოების თავის შეწყენა არ იქნება ნაგულისხმევი, როგორც გაზვიადებული თავ-მოყვარეობის ან რაიმე დიდრაჯობის გრძნობა, რასაც ყოველთვის უნდა ერიდებოდეს ყოველი ექიმი, ვისაც-კი მეცნიერული თავ-მოყვარეობა დიადად დაუსახავს და ვინც-კი თავის ხელობის ვიწრო ფარგალს არ შთაუნთქავს.

ძალიან და ძალიან სანანებლად მიგვაჩნია, რომ ბექდურ ფურცლებზე სასარგებლო რამის მიძღვნის ნაცვლად, კერძო, წვრილმან საქმეზე ვახარჯებთ დროს მკითხველებს—მაგრამ ამ დანაშაულს, იმედია, შეგვინდობს ყოველი, ვისაც-კი გამოუტღია, თუ რამდენად დამაწუხებელია ადამიანისათვის უსამართლო დაწამება, საზოგადოებაში გავრცელებული, ერთიდგან-მეორეზედ მსწრაფლ-გარდამავალი და ისიც ისეთი თვისების მიმაკუთნებელი, რომელიც არ არის საკადრისი, არა თუ ექიმისათვის, (რომელსაც თვისი ხელობა ყოველთვის აცხოვრებს) არამედ უკანასკნელ, საარსებო ბრძოლაში დაწინაღულ, მეჩხირკედელავე ადამიანისათვისაც-კი...

დავშთებო მასუხის მამლოდნელი,

ექიმი ვასტანგ დამბაშიძე.

P. S. მამაო რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ამ წერილს ადგილი თქვენს ჟურნალში, რათა ამით გამოადვილოთ საჯაროდ სინამდვილის გამოკვევა. მორჩილად ვსთხოვ აგრეთვე „ივერიის“ და „კვალის“ რედაქციებს ამ წერილის გადაბეჭდვას.



წერილი „მწვემსი“ს რედაქციის მიმართ.

მაძაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას მისცეთ ადგილი თქვენს ჰატვი-ცემულ კაზეთ „მწვემსში“.

11 წარსულ ოქტომბერს, სამსახურის გამო დ. სუგდიდში ჩემი მეოფობის დროს, ერთმა მეგობრმა (ეს იყო თ. აშორდია, როგორც უკვე იციან მკითხველებმა, მეგრული ანბანის შემადგენელი) გამიხმო, ჩემთან ერთი ხხალ-კაზდა მღვდელიც (ყო) და კვითხრა: „იმედია, თქვენ არ მიბაძავთ ძველ მღვდლებს და ამ თხოვნაზე ხელს მომიწერთ“. გამაღბ ერთი ფურცელი ქაღალდი, რომელშიაც კავკასიის ოლქის სამასწავლებლო მზრუნველის, ბ. იანოვსკის სახელსე, სამურზაუანო და სამეგრელოს მღვდელთა და სოფლის სკოლების მასწავლებელთა მხრით (ვითომ) თხოვნა იყო შედგენილი—იმის შესახებ, რომ როგორც კახის კამოცდილებით დავრწმუნდით, მეგრულ ანბანებით შედგენილმა წიგნმა დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენ სკოლებს და ჰირ-და-ჰირ მასი საშვალებით მეგრულიდან რუსულ ენაზე გადასვლა გაგვიადვილდაო; ამისთვის ნება დართულ იქმნეს ყოველ ჩვენ სკოლებში მიღებული იქმნას ხსენებული სახელ-მძღვანელო (ესე იგი «აშორდიული»).

ბოლოს ხელს აწერდნენ სამურზაუანოდა მსამი თუ ოთხი მასწავლებელი და იმდენივე მღვდელიც—ხოლო სუგდიდის მასრიდან აწერდა ხელს ერთი მღვდელი. მე ვუპასუხე: 25-ს ამ თვეს აქ, სუგდიდში კრება გვექნება მასრის სამასწავლებლო რჩევის განყოფილებაში და იქ მოიტანეთ ეს არსა მეთქი. ამ დროს უცებ ჩემს მესაუბრეს ფერი წაუსდა და მოჭკურცხლა.

იმედია ბეჭვითი ორგანოები ეურადლებას მიაქცევენ ამ არა სასიამოვნო მოვლენას და გააბრთხილებენ ჩვენს სამღვდლოებას და მასწავლებელთა, რომ საზოგადო საქმეს, და მეტადრე სკოლების შესახებ საქმეს ასე ადვილად—დაძალულად და მოუფიქრებლად ნუ მოაწერენ ხელს, რომ მით მთავრობაც შეცდომაში არ შეიფხანონ. არავის არა აქვს უფლება, რომ ამისთანა დამსადებულ თხოვნებს ხელი მოაწერთ თავიანთ მღვდელ-მთავრების შეუტობლად და ნება დაურთველად. ამისთანა სერიოზული საქმე უნდა ეკითხებოდეს ადგილობრით მღვდელ-მთავარს და არა კერძო ჰირებს. რაც შეეხება აშორდიას, რომელიც სიერმიდანვე შეუდგა ჰირადი სარგებლობის თავგანისცემას, მას საზოგადო კეთილ დღეობაში ნიჭი და განათლება არ შესწევს, ის უნდა იკმაროს, რაც ზარალი ჩვენს სკოლებს დღემდის მისცა.

მღვდ. დიმიტრი ბერულავა.





სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ვეთილ- ყნეობაზე.

აკაკიანიანი მოლაპარაკეთ და მოცინარეთ.

(წმ. იოანე ბქრძინის თხზულებიდან).



ა უღუთოებას ვხედავ ახალგაზრდებში? რა უთაურობას ვხედავ მოსუცებულებში? არაფერ არ ცდილობს სულის ცხოვრებისათვის. მაგალითად: ეკლესიაში სრულდება ლოცვა, — ეველანი გულგრილად სხედან, ახალგაზრდებიც და მოსუცებულნიც, უფრო მოსუცებულნი, ვინემ ახალგაზრდები, იცინიან, ხითხითობენ, ლაპარაკობენ, და ერთი ერთმანეთს დასცინიან, როცა დახოქილნი არიან; როცა ასე ურიგოდ იქცევიან შენს გვერდით, რატომ არ მიაქცევ ურადლებას? ნუ თუ არ შეგიძლია, რომ შენ გვერდით მოცინარნი და მოლაპარაკენი შეაჩერო და უსაუვედურო ურიგო საქციელი? თუ არ გაგიგონონ, მოუწოდე მთავარს, რომ შენი შენა მისცეს მათ, რომელნიც ურიგოდ იქცევიან ტაძარში; ისინი არც თვითონ ლოცვი-

ლობენ და სხვასაც უძლიან ლოცვას. ნუ თუ გეძინია მათი? თუ მათ გაგიბედეს რამე, სხვანი მოგემხრობიან და დამნაძაფეთ დატუქსვენ. თუ ასე მოიქცევი. მაშინ მიიღებ შესაფერ სახუქარს ლოცვისათვის. ბატონის ოჯახში იმ მოსამძახურეს ვეძახით ერთგულს, რომელიც ცდილობს, რომ უოველი ნიუთი თავის ადგილს იღვას. ეხლა მითხარი: ვოქვათ, შენ დანახე ვერცხლის ჭურჭელი, უბრალოთ დაგდებული, ნუ თუ არ აიღებ, კიდევ რომ ვაღდებული არ იყო და არ შეიტან სახლში? ვოქვათ, შენ დანახე ურიგოდ დაგდებული ტანთ-საცმელი, ვაღდებული არა ხარ ეური უგდო ამ ტანთ-საცმელს და იმისი მტერიც ხარ, ვინც ვაღდებულია ამ ტანთ-საცმელს მოუაროს, ნუ თუ ტანთ-საცმელის ჰატრონის ჰატივის ცემისათვის არ აიღებ ამ სამოსელს და რიგიან ადგილს არ დასდებ? ასე უნდა მოიქცე ახლაც. ახალგაზრდები არიან ჭურჭელნი: თუ ხედავ, რომ ივინი ცუდად იქცევიან, დაარბე, რომ რიგიანად მოიქცნენ; თუ შენ გერიდება, შე შემატეობინე, შე არ დავიზარებ, რომ შესაფერი დარბევა მივსცე ურიგოდ მოქმედთ; შე არ შემიძლიან ეველაფერს თვალი ვადევნო. იმეღია ამას მაჰატივებთ. თქვენ ხედავთ, თუ რა უბედურება ხდება ქვეყანაზე. შე უმიხეზოდ არ მი-თქვამს, რომ ჩვენ ვართ გროვა თივისა, უწესრიგო ზღვა. შე იმას არ ვაძბობ, თუ რას აკეთებენ ისინი, არამედ შე მინდა გიჩვენოთ თქვენ, რომ აქ მომსულელნი ეძლევიან ისეთ

ძილს, რომ თავის გარეშე ვერას ამხნევენ. ეს-
ლაც ვხედავ, რომ ზოგიერთები დგანან და
ლანჯარაკობენ, ზე ლოცვა-კი სრულდება; მაგრამ
არინან ისეთი თავხედნიც, რომელნიც არა თუ
მარტო ლოცვის დროს ლანჯარაკობენ, არამედ
იმ დროსაც არ ჩუმიდებიან, როცა მღვდელი
ლოცვა-კურთხევას ამღვებს მათ. რა თავხედო-
ბაა! როდის ვისრულებთ სულის ცხოვრებისა-
თვის? როდის გვინდა შევირიგოთ ღმერთი?
როცა სათამაშოებზე მიდიხარ, ხედავ, რომ
ვეელანი რიგიანად იქცევიან და ვეელანი ერი-
დებიან ურიგოდ მოქცევას. რაც უნდა ბევრი
მლოცველი იყოს ტაძარში, ვეელანი ვალდებუ-
ლები არიან ერთსულობით იფხენ და ერთის
პირით და ერთის სულით აღიდებდნენ უფალს.
ასე უნდა მოვიქცეთ, ვინაიდან ჩვენ ვეელანი
შევადგენთ ერთ ეკლესიას, ჩვენ ვართ წევრნი
ერთი თავისა; ვეელა ჩვენ ვართ ერთი სხეული;
თუ სხეულის ერთი რომელიმე წევრი დარჩა
უეურადღებოდ, მაშინ ამ წევრთან ერთად მთე-
ლი სხეული სუსტდება და ბოლოს იხრწნება.
ამ სახით ერთი რომელიმე მლოცველის ური-
გო მოქცევით ირღვევა წესიერება. სწორეთ
გასაოცარია, შენ კარგად იცი, რომ მიდიხარ არა
სათამაშოებზე და სხვა-და-სხვა გასართობებზე,
არამედ სალოცავად, მაგრამ ურიგოთ კი დგეხარ?
ნუ თუ შენ არ უწეი, რომ ანგელოსთა შორის
დგეხარ? მათთან ერთად ვალობ, მათთან ერთად
წირავ უფალს დიდებას, და ამავე დროს იცი-
ნი? გასაოცარია, რომ მესი არ დაგვეცემა თავზე,
როგორც ღამნაშავეთ, ისე ჩვენც! ჩვენი საქ-

ციელი სწორეთ მესის დაცემის ღირსია! ჩვენ
შორის არის უფალი, იცქიერება ზეციური მსე-
დრობა, შენ-კი მათ წინაშე დგეხარ და იცინი,
ან და არ უშლი სიცილს სხვებს, მაგრამ რო-
დემდის უნდა გამხილოთ? როდემდის უნდა
გისაუფედუროთ? ნუ თუ რიგი არ არის, რომ
ასეთი გაფუჭებულნი, როგორც ავაზაკნი, კარ-
ვენილნი და აღვსილნი ცოდვებით გაუბეგოთ
ეკლესიიდან? როდის მოიძლიან ისინი სიცილს
ღვთის-მსახურების დროს? როდის მიატოვებენ
უბრალო ლანჯარაკს ისინი, რომელნიც ხედავენ,
რომ მღვდელი მათ ლოცვა-კურთხევას ამღვებს
და ისინი-კი იკრიჭებიან და ლახლანდარობენ?
ნუ თუ მათ არ რცხვენიათ მათ გარეშე მღვო-
მარე პირების? ნუ თუ არ ეძინიათ ღვთისა?
ჩვენთვის საკმაო არ არის ეს სულიერი უუ-
რადღებლობა, საკმაო არ არის, რომ ვლო-
ცვილობთ, მაგრამ ამავე დროს ჩვენი აზრი და
გონება სულ სხვა საგნებზე ფიქრობს; ტაძარ-
ში ვიცინით და ვხარხარებთ! ნუ თუ აქ რამე
სანახობაა? ჩვენ რასაც ვაკეთებთ აქ, იმას აი
აკერ სხვა აფუჭებს; შენ ცდილობ მოსწო ბო-
როტი, მაგრამ აკერ სხვა ხელს უწეობს ბო-
როტის გავრცელებას. ჩვენ ვსწმენდთ უწმინ-
დურებისაგან მათ, რომელნიც სათამაშოებიდან
მოდიან და თან მოაქვთ მრავალი უწმინდურობა,
ისინი კიდევ ხელახლა გარბიან იქით, რომ
უმეტესი უწმინდურება შეიძინონ, თითქოს გან-
კებ მიტომ ცხოვრებენ, რომ ჩვენ შრომა მო-
გვავენონ, და მოვიდნენ უფრო დიდი უწმინ-
დურობით, გაფუჭებულნი ზნეობით, საქციე-



ლით, სიტყვით და უოველი თაჳისი მოქმედებით. შეძლებ ჩვენ ხელახლა უნდა გავწმინდოთ ისინი, მაგრამ არ გავა ცოტა დრო, რომ ისინი ისევ გაუწმინდურდებიან და გაივსებიან ცოდვებით. ამიტომ თქვენს თაჳს ვანდობ უფალს. და თქვენ, რომელნიც უცოდველად ატარებთ ცხოვრებას, გამცნებთ, რომ თქვენ ზასუსს აგებთ წინაშე ქრისტესა საშინელსა მას განსჯის დღესა, თუ ვინმე თქვენგანი შენიშნავს ტაძარში მოლაზარაკეთ და მოცინაართ და არ დაარტიკებს და არ გაასწორებს მათ. ეს უკეთესი იქნება ლოცვაზე. თაჳი დანებე ლოცვას და ასე ურიკოთ მოქმედთ მიეცი დარტიკება; მაშინ იმასაც მოუტან სარგებლობას და შენ სუფსაც. ამ სანით უველანი ღირსნი გავსდებით ღვთის სასუფეველისა, რომელსაც ვეღირსოთ-მცა უველანი მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისათანა მამას სული წმიდითურთ ეკუთვნის დიდება, ზატყვი აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.



საეკლესიო სანთელი.

როცა ტაძარში ვლოცვილობთ, ხატების წინ, ჩვეულებისამებრ, ვანთებთ წმ. სანთელს. წმ. ხატების წინ სანთლის ანთება უხსოვარის დროიდან არის შემოღებული. ეს ჩვეულება შემოღებულია ალბად ქრისტიანობის გავრცელებისათანავე. ქრის-

ტეს ეკლესიაში სანთლის ანთება სამაგიეროა ძველი აღთქმის ყოველგვარი მსხვერპლისა. იმ დროს სასტიკად იყო ნაბრძანები, რომ ღვთისათვის მსხვერპლად შეეწირათ ხარები, ცხვრები, მიწის ნამუშევარი და მეთედი ნაწილი თაჳისი შემოსავლისა ტაძრის შესანახავად. ჩვენს დროში კანონი არ თხოვილობს ჩვენგან არც ხარების და არც ცხვრების შეწირვას ღვთისათვის; მართალია მიწის ნამუშევრის ზოგიერთი ნაწილები კი მიგვაქვს ტაძარში, მაგრამ მართა საკურთხად, ხოლო კურთხების შემდეგ ყოველივე ესეები სახლშივე მიგვაქვს და იქიდგან ტაძრის სასარგებლოდ არაფერს არ ვტოვებთ; არც ჩვენი შემოსავლის მეთედს ვსწირავთ ტაძრის სასარგებლოდ. ყველა ამ მსხვერპლების სამაგიეროდ ვხმარობთ საეკლესიო სანთელს, რომელსაც ვანთებთ წმიდა ხატების წინაშე. ეს მსხვერპლი გაცილებით იაფია ძველი აღთქმის ყველა მსხვერპლებზე, მაგრამ სანთლის ღირსება ფუღის რაოდენობით კი არ ფასდება, არამედ ჩვენი გულსმოდგინებით; მაგრამ, რომ ეს ჩვენი მსხვერპლი—სანთელი იქნეს ღვთის სასამოვნო, საჭიროა, იგი იქნეს წმინდა, მთელი და გაუფუჭებელი.

როგორც შენიშნულია, სანთლის შეწირვა წმ. ხატების წინ ასანთებად, ძველი დროის ჩვეულებაა: სანთელი მოხსენებულია „საქმე მოციქულთა“ წიგნის მეოცე თავში, სანთელი მოხსენებულია წმ. მოციქულთა დადგენილებათა შორის (71 და 72); აღნიშნულია აგრეთვე წმ. მამათა და ეკლესიის მასწავლებელთა თხზულებაში სანთლის ხმარება ღვთისმსახურების და საიდუმლოთა შესრულების დრო ს; მე-VI საუკუნეში მეფის განსაკუთრებული უქაზით იმ ჰირთა, რომელთაც სურდათ ტაძრის აშენება, ეთხოვებოდათ, რომ მათ წინდაწინვე დაესახელებია თ განსაკუთრებული წყარო ცვილისა და ეკლესიის ყოველგვარი გასანათებელის მოსაპოვებლად. ამ სახით მოციქულთა დროიდანვე შემოღებულია ტაძარში სანთლის ანთება. დღეს ყოველგვარი სასიხარულო და სამწუხარო შემთხვევების დროს ჩვეუ-

ლებად გვაქვს სანთელი ავანთოთ ტაძრებში ანუ სახლებში წმ. ხატების წინაშე. საზოგადო ღვთის მსახურების დროს ხატების წინ ანთებენ სანთელს და რამდენადაც ღვთის-მსახურება უფრო ბრწყინვალეა, იმდენად უფრო ბევრი სანთელი ინთება ტაძარში.

ეკკლესიაში ანთებული სანთლები ყველაზე უწინარეს მოასწავებენ ტაძარში ღვთის მყოფობას და მის დიდებას. „თვით უფალი ნათელსა მყოფ არს მიუწოდამელსა“ (ა ტიმ. 1, 17), იგი არის ანთელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა“ (იოან. 1, 9). ხატების წინაშე ანთებული სანთლები ერთის მხრით მოასწავებენ ღვთის დიდებას, ხოლო მეორეს მხრით ნიშნავენ ჩვენს სარწმუნოებას და სიყვარულს ღვთისა და მის წმიდათადმი; ეს სანთლები მოწმობენ, რომ ჩვენ პატივსა ვსცემთ და ვმადლობთ ღმერთსა მისი კეთილმყოფობისათვის ჩვენადმი; ისინი მოგვაგონებენ ჩვენს მოვალეობას განვინათლოთ ჩვენი გონება ქრისტეს ჭეშმარიტების ნათელით; სანთელი გვიჩვენებს ჩვენ, რომ ჩვენი გული მუდამ აღვსილი უნდა იყოს ჭეშმარიტი სიყვარულით ღვთისა და მოყვასთადმი, ივინი, დაბოლოს, გამოხატვენ ჩვენს სულიერს სიხარულს და ღვთის ეკკლესიის ძლევის მის მტერთა ზედა. სანთელი ინთება ტაძარში არა მარტო გასანათებლად, როცა ღამით ღვთის-მსახურება სრულდება, არამედ დღითაც, როცა სრულიად საჭირო არ არის განათება. სანთლის მნიშვნელობა ეკკლესიურ მსახურების დროს ფრად ღრმა და მრავალ მნიშვნელოვანია. ყოველგვარი ეკკლესიური სამსახურის დროს საჭიროა სანთლის ანთება.

მაგრამ ყველა სანთელს კი არა აქვს ასეთი მაღალი სულიერი მნიშვნელობა. ასეთი მნიშვნელობა აქვს მარტო ეკკლესიურ სანთელს, და არა სხვა რაიმე სანთელს. ეკკლესიური სანთელი თავისი გარეგანი სახით და თვისებით განსხვავდება ყოველგვარ სანთლისაგან. საეკკლესიო სანთელი უნდა იყოს ნამდვილი ფუტკრის ცვილისაგან ვაკეთებული. მხოლოდ მარტო ერთი ცვილი, —სიმონ სოლუნელის სიტყვით, —როგორც ყველა ნივთებზე უუწმიდესი, შეწირული და ანთებული, მოასწავებს სიწმინდეს და უმანკობას (ანუ გულწრფელობას) მსხვერპლისას; ვინაიდან ცვილი მრავალრიცხოვან

ყვავილთაგან არის შეზავებული, ამიტომ იგი უმჯობესია ყოველ გვარ მსხვერპლზე, რომელსაც ჩვენ ვწირავთ ღმერთს. მხოლოდ ცვილს, როგორც რბილ და ადვილად მოსაწვევ ნივთიერებას, შეუძლია აღნიშნოს ჩვენი მორჩილება და მზად ყოფნა მოვინათო ჩვენი ცოდვები; მხოლოდ ცვილს, რომელიც შეკრებილია სუნნელოვან ყვავილებისაგან, შეუძლია მოასწავოს მაღლი სულისა წმიდისა“ (ტაძარზე, თავი 27). როგორც ფუტკრის ცვილია რბილია, ისე კაცის სულიც რბილი უნდა იყოს, და მიწინდველი იმისა, რაიცა სრულდება ტაძარში; როგორც ცვილია ადვილად მოსაწვევი, ისე ჩვენი სული და სხეული უნდა მოვიდრიკოთ ღვთის წინაშე და სრულიად უნდა მივანდოთ ჩვენი თავი მის განგებულებას; მზგავსად მისა, როგორც ცვილს აქვს სასიამოვნო სუნი, ვინაიდან იგი შეკრებილია სუნნელოვან ბალახთა და ყვავილთაგან, ისე ჩვენი სულიც აღვსილი უნდა იყოს ქრისტეანული ყოველგვარი ჭეკლისმოქმედებით —სარწმუნოებით, სასოებით და სიყვარულით; როგორც ცვილია წმინდა ნივთიერება, ისე ქრისტეანე კაცის სულიც წმინდა უნდა იყოს ყოველგვარი ცოდვებისაგან; აი ჩვენ ტაძარში ავანთეთ სანთელი, სანთელი იწვის, პატარავდება, და ბოლოს კიდევ ქრება. ანთებულმა სანთელმა უნდა მოგვაგონოს ჩვენ, რომ ჩვენ განათლებული ვართ ქრისტეს სწავლის ნათელით, რომ ჩვენში არ უნდა იყოს ბნელი; რომ ჩვენი ცხოვრება, ცვილის მზგავსად, თანდათან მოკლდება, იწვის და ბოლოს მთლად ქრება, ამიტომაც გულმოდგინედ უნდა ვევედროთ უფალს, რომ მან არ მოგვაკლოს ჩვენ ზეციური ნათელი; სანთელი, წვის დროს, უშვებს სითბოს; აგრეთვე ჩვენი ლოცვაც უნდა იყოს მხურვალე, გულწრფელი, ვინაიდან მხოლოდ ამგვარ ლოცვას მიიღებს ჩვენგან ღმერთი.

ჩვენ ჩვეულება გვაქვს ავანთოთ სანთელი არა მარტო ხატების წინ, არამედ საიდუმლოების შესრულების და ყოველგვარ ლოცვა-ვედრების დროს. აქ ანთებულ სანთლებს კიდევ უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვსთ. საიდუმლო ნათლისღე-



ბის შესრულების დროს ანთებული სანთლები ნიშნავენ, რომ ნათელდებული განათლებულია ქრისტეს სარწმუნოების ნათელით. ქორწინების დროს ანთებული სანთლები მოასწავებენ ქრისტიანთა სულიერ სიხარულს და მხურვალე სიყვარულს სასიძოსა და სასძლოისას; ზეთის კურთხევის დროს ანთებული სანთლები მოასწავებენ ჩვენს მხურვალე ღლოცვას, რომ სნეული განიკურნოს; დასაფლავების და პანაშვიდების დროს ანთებული სანთლები მოასწავებენ ჩვენს იმედს, რომ მოწყალე უფალი, ეკლესიის ვედრებისა გამო, ღირს ჰყოფს გარდაცვალებულს დასტკბეს უზენაესის ნათელით თავის დაუღამებელს სასუფევლის ნეტარებასა შინა. როცა აღსარების სათქმელად მივდივართ, თან სანთელი მოგვაქვს, მაგრამ მოკიდებული კი არა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოდვილნი თავიანთი ცოდვებით გაურბიან იესო ქრისტეს ნათელს და მიემურებიან ჯოჯოხეთსა შინა, აქრობენ თავიანთ თავში მადლს, რომლის ანთება ქრისტიანე კაცის გულში შეუძლია მხოლოდ თვით ღმერთს თავისი მოსამსახურის — მღვდლის შუამავლობით. კეთილ-მორწმუნე ქრისტიანენი, როცა საიდუმლო ზიარების მიღებას აპირებენ, წმ. ხატების წინაშე ანთებენ სანთელს. ამით მაზიარებელნი გვიჩვენებენ მათ სულიერ სიხარულს, რომ აღსარების საშუალებით იგინი განიწმინდნენ ცოდვებისაგან და მათი გული შეიქმნა წმინდა და მზად არის მიიღოს უფალი და აგრეთვე გვიჩვენებენ თავიანთ ცხოველ სიყვარულს მაცხოვრისადმი, რომელმაც შეგვიყვარა ჩვენ და თავისი თავი შესწირა ჩვენთვის.

(გაგრძელება იქნება).



უკვდავთა ღალადებანი

(სისტორიო მასალა).

დ. ლოცვა წმ. ჰეტრე (მურვანოზ) ქართველისა.

* ნეტარო და წმიდაო მამაო ესაია, შენ ღღეს მოჰკუპდ და შემდგომად მცირედისა მეცა მოსიკუდილ ვარ, არამედ აწ ნუ დასცხრები შეოხებად ჩუხნთვის წინაშე წმიდისა სამებისა.

მისივე დარიგება: შევილნო ჩემნო და ძმანო და საყვარელნო ქრისტეს ღუთისანო, ყოვლისა პირველად დაიცივი წმიდა და მართალი სარწმუნოება წმიდისა სამებისა, მოიგეთ სასოება, სიყუარული, სიმდაბლე, სულგრძელება, მოთმინება და სახიერება; შეიტკბეთ გლახაკთმოწყალება, სტუმართ მოყუარება, და უცხოთა შეიწყნარებლით და განუსვენებლით; ყოველნივე შტრებოლით შრომისა სულიერსა და საღუთოსა. ყოველნივე ბაძევლით საღუთოთა და წმიდათა კაცთა. ყოველთა კეთილნი საქმენი და სათნოებანი წმიდანი მოიგენით, წინამძღუართ დაემორჩილენით, ვითარცა ღუთისა ანგელოზთა, და სიტყუათა მათთა დაიმარხევლით, ვითარცა პირისაგან ღუთისა გამოსრულთა.

მურვანოზი იუო მეფე ბაკურის (379—393 წ.) შვილი. ბერძენთა და სპარსთ შორის მტრობა ჩამოვარდა. რომ ქართველები სპარსეთს არ მიმხრობდნენ, იმპერატორმა თეოდოსი მცირემ ჩვენი მეფისაგან მზევალი ითხოვა. მეფემაც გაუგზავნა 12 წლის მურვანოზი და მას გააუფლა სხვა სეფეწულებიც. მურვანოზმა ისწავლა ბერძელი ენა და ფრად გამეცნიერდა. კონსტანტინეზელგან იგი ვინმე იოვანესთან ერთად წავიდა იერუსალიმს და იქ მრავალი იღვასა ქართველთა მღვდელთა სანუგეშოდ. თავისი სიბრძნითა, წმიდა ცხოვრებითა და სსწაულებით შიიქცია საერთო ყურადღება. მას ქსურდა მეუღროდ ეცხოვრა სადმე უდაბნოში, გარნა აიძულეს და მათუმი ეპისკოპოსად დანიშნეს. მათუქლები ეუბნებოდნენ პატრიარქს: „ჩვენ სხვა ეპისკოპოსი არ გვინდა, თუ არა წმ. ჰეტრე (მურვანოზის მონაზნობის სსქელია) ქართველი.“ ჰეტრეს ცხოვრება აღწერა მისმავე მოწაფე ზაქარიამ ასურთა ენაზედ, მკრე ითარგმნა ქართულადაც (იხ. ვრცლად ნ. მარის თხზულება: „Житие Петра Ивера царевича-подвижника и епископа майумскаго V вѣка“ (Православ. палест. сборникъ, т. XII вып. 2).

სახელომძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. როგორ უნდა განიწმიდოს გურთხევით ტაძარი, რომელშიაც უეცრად გარდაცვლია კაცი აღსარების თქმის ან ზიარების შემდეგ, ან როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, როცა ეკლესიაში შევარდება ძაღლი?

მაგება. როგორც კაცის უეცრად გარდაცვალების ისე ძაღლის შევარდნის შემდეგ ეკლესიაში მღვდელმა უნდა შეასრულოს მცირე აიაზმა და მოასხუროს ეკლესია. ესევე წესი უნდა შესრულდეს მაშინაც, როცა ეკლესიაში მუშაობა იყო და ნაკურთხ ნივთებს შეეხებნენ ხელნი არა ნაკურთხ კაცთა. ამისთანა შემთხვევაში აიაზმის შესრულების დროს წიკითხება ორი დოცვა ტაძრის განახლებისა დიდი გურთხევიდან; ან ტაძრის განახლების დოცვები, როდესაც მწვალებელნი შევიდნენ და რაიმე მოქმედებით შეაკინეს ტაძარი.

კითხვა. შეუძლია თუ არა მღვდელს, რომ წირვის დროს მკერდზე დაიკიდოს მკერდის ჯვართან პალესტინის საზოგადოების ჯვარიც, რომელიც საზოგადოების სასარგებლოდ დაწესებული ფულის შეწირვით ეძლევათ მსურველთ?

მაგება. არ შეიძლება, რადგან ეს ეწინააღმდეგება უმაღლესად გამოცემულ ბრძანებასა, 23 თებერვალიდან 1885 წ., რომლითაც წირვის დროს ყველა ორდენების და მღვდლების დაკიდება აღკრძალულია.

კითხვა. ვალდებულია თუ არა მღვდელი, რომ ნამდვილად აჩვენოს სნეულება გარდაცვალებულთა ჭრომ მღვდლისაგან აღნიშნული სნეულება არ აღმოჩნდეს გარდაცვალების მიზეზად, მაშინ ვასუსხს ხომ არ აგებს მღვდელი, რომელმაც შეცდომით დაასახელა

სნეულება, ან საჭიროა თუ არა უოველს შემთხვევაში ექიმის შემოწმება?

მაგება. სატახტო და დად ქლაქებში ექიმების დამოწმება გარდაცვალებულთა სნეულების შესახებ საჭირო არის და კიდეც ითხოვენ ასეთ მოწმობათ. მაგრამ სოფელში ასეთი მოწმობის მოვნა უოველად შეუძლებელია. რამდენი გარდაცვალებულია სოფელში, რომ ექიმს სრულებით არ უნახავს იგინი. სიკვდილის შემდეგ რომ კიდეც ნახოს ექიმმა გარდაცვალებულის გვამი, განა შეეძლია მას დაამოწმოს გარდაცვალებულის სნეულება, თუ სნეული არ გაჭრა და არ გამოიკვლია დაწვლილებით მიზეზი სნეულებისა? მღვდლისათვის საკმაოა დანიშნოს მეტრიკაში ის სნეულება, რომელსაც დაასახელებენ თვით ჭირისუფალნი.

კითხვა. ვსთქვათ, საფრანგეთის ქვემეგრდომი ფრანგის სარწმუნოებისა სწირავს ეკლესიის ასაშენებლად საკმაო ფულს. შეიძლება თუ არა შემწირველი წარდგენილ იქმნეს ანანს მესამე ხარისხის ორდენზე?

მაგება. რასაკვირველია შეიძლება, რადგან ეს ორდენი დაუბრკოლებლად ეძლევა ყველა აღსარების ქრისტიანთ, რომელნიც კი მოიქმედებენ მსგავს შეწირულებას.

კითხვა. ვსთქვათ, სტაროსტამ იმსახურა თორმეტი წელიწადი, შეუძლია თუ არა მას მეათე კლასის მუნდირის ჩაცმა და თუ შეუძლია, მღვდელ-მთავრისაგან უნდა აიღოს ნებართვა?

მაგება. სატახტო და კათედრის ტაძრების ეკლესიების სტაროსტებს, რომელნიც გლეხთა წოდებისაგანნი არ არიან, ეკუთვნისთ მეცხრე კლასის მუნდირი და მაზრის ქალაქებს და სოფლების ტაძრების სტაროსტებს აქვსთ უფლება მეათე კლასის მუნდირისა. გლეხთა წოდების სტაროსტებისთვის ერთნაირი ჩოხები, ანუ კაბებია მოგონილი, რომელსაც ჩვენში არავინ ხმარობს. ამ მუნდირების ხმარებისათვის არავთარი ნებართვის მიღება არაა საჭირო ადგილობრივ მღვდელ-მთავართაგან.



რედაქციის პასუხი.

ზ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი .

პეკრ შკოთხველთაგანს. ეპარქიის სხვა და სხვა წყაროებიდან სასწავლებლების სასარგებლოდ ფულების შეკრების წესი ამნაირი სუფევს ჩვენში და მთელს იმპერიაში: პირველად გარდაწყდება სამღვდლოებს კრებაზე, თუ რაოდენი უნდა იქნეს შეკრებილი სამღვდლოებისა და ეკკლესიებისაგან. როდესაც კრებაზე შედგენილი ჟურნალი დამტკიცდება ადგილობრივ მღვდელთ-მთავრისაგან, შემდეგ შედის ძალაში სამღვდლოების გარდაწყვეტილება. ამ წლის იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების კრებაზე, მართალია, გარდაწყდა ორი ათასი მანეთის შეკრება ყოველ წლობით იმერ. ეპარ. ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ, მაგრამ გარდაწყდა ისე, რომ ამ ფულების შეკრება უნდა დაწყებულიყო 1900 წლიდან. ჟურნალიც ასე დამტკიცდა. მაშასადამე არავის არა აქვს უფლება, ეს ფულები მოითხოვოს ამ წელიწადში.

ვიიღება ხალის-მოწერა 1900 წლისათვის ორ კვირულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე



რუსულ «П А С Т Ы Р Ъ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ.
 — ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.
 — ,, ორივე გამოცემა 5 მ. | — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

ზაზუთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირაღაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროეთან; საჩხერეში—ყარასან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოეთან; ახალსენაკში—ბლალოჩინ მამა არისტარქ კალანდარი-შვილთან.

შედეგ. ბ. ია—ს. წელს მღვდლების ახლად გამოსული საჯამაგრო ფულებიდან, რაც შეხვდა საქართველოს საეკლესიოსს, მიეცათ ჯამაგირები ორ-შტატიანი ეკკლესიების მეორე კრებულთა, სადაც ჯამაგირები არ ჰქონდათ, და იმისთანა სამრევლოების მღვდლებს, რომელთაც სრულებით ჯამაგირი არ ჰქონდათ დანიშნული.


სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზნეობი დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ კ თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვეირაღაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирлы, въ редакцію газеты журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ზოგაერთ ღეპუტატებს. იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების კრება დანიშნულია ქუთაისში მომავალი თვის დეკემბრის 15-ს.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.





სახელმძღვანელონი ღ სხვა საკითხავი წიგნები

დაწვანა იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედანი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერთო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შეესებულო გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუწოდებთ სყიდვა არც სახატავებშია და არც დედანისა. შასი ისევე ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულა და შართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... შინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით შპ კაპ.

შინძის კარნი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. შასი ყდით ოთხ-აბაზ უხალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. შინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა — თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა — თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულა სამინისტროსაგან, როგორც «მშენიერი სახელმძღვანელო შართული ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

მკმკნი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა შერვე, ფასი ორი შაური ნარდათ შ კაპეიკი.

მონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მერთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა-ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულა როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდის კანა.

სომელი, ანუ რჩეულია ლექათა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მერთხე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულა სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწული, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულა როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იპნანა რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმა-წვილებისათვის, მერთხე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ხატის მიგეში? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შ.ურ. **ასკინის მში** საყმაწვილო მოთხრობა მფევე ერეკლეს სურათით, და ქარტით. მერთხე გამოც. ფასი 10 კ.

მირითალი უკუმბართობა, პუბლიცისტურა წერილი დედა-ენია შნიშენელობის შესახებ კერძოთ აღამიანის და შთეულის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავდადებულნი მართმელნი, ისტორიული მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихся къ преподаванію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова“ одобрены въ качествѣ учебнаго руководетва по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихся“ одобрено для библіотекъ низшихъ и средничъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главнначальствующаго. (смотри „Сборникъ“ распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ყველა ეს წიგნები უმათერესად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოებრს მალაზიაში ქუთაისში: ბეჟანეშვილთან, კოლაძესთან და ხეთერელთან, ბათუმში თავართქილაძესთან და კალანდაძესთან, ვოთში — ტულუშთან, ოზურგეთში და სენაკში თავართქილაძესთან, ლანჩხუთში ცინცაძესთან, სუფსუში ქავჭავანიძესთან, ყვარულაში — არაბიძესთან, საჩხერეში ყარამან ჩხვიძესთან, სურამში და ხაშურში შურღაიასთან, გორში — კალანდაძესთან, თელავში — მრხვილ ცისკარაშვილთან, სიღნაღში ამხანაგობის მალაზიაში, ვლადიკავკავში მასწავლებელ ბოცვაძესთან. 15—12.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 Ноября 1899 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елиевъ.

Типог. редакція журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.